



საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური

## ბრძანება

№01/13-ო

19 აგვისტო 2013 წ.


სს „სამედიცინო დაზღვევის ჯგუფი არქიმედეს გლობალ ჯორჯია“-ში

იძულებითი ადმინისტრაციის დანიშვნის თაობაზე

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის, ამავე კანონის 33<sup>1</sup> მუხლის, „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტებისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 11 ოქტომბრის №126/01 ბრძანებით დამტკიცებული „მზღვეველის იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციის და გაკოტრების საქმის წარმოების წესის“ საფუძველზე:

1. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 11 ოქტომბრის №125/01 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს ტერიტორიაზე სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების ყველა ეტაპზე კაპიტალის მინიმალური ოდენობის განსაზღვრის წესის“ და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 09 მარტის №35/01 ბრძანებით „მზღვეველის ფინანსური ანგარიშგების ფორმებისა და მათი საქართველოს ეროვნული ბანკისათვის წარდგენის წესის დამტკიცების თაობაზე“ დარღვევის გამო, სს „სამედიცინო დაზღვევის ჯგუფი არქიმედეს გლობალ ჯორჯია“-ში დაინიშნოს იძულებითი ადმინისტრატორი.

2. სს „სამედიცინო დაზღვევის ჯგუფი არქიმედეს გლობალ ჯორჯია“-ს დროებით ადმინისტრატორად დაინიშნოს ვასილ ძირკველიშვილი (პირადი ნომერი: 35001012013), რომელიც ვალდებულია საქმიანობა განახორციელოს „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის 33<sup>1</sup> მუხლისა და საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2010 წლის 11 ოქტომბრის №126/01 ბრძანებით დამტკიცებული



დაზღვევის იძულებითი ადმინისტრაციის, ლიკვიდაციისა და ვაკოტრების საქმის წარმოების წესის“ შესაბამისად.

3. დროებითა ადმინისტრატორმა უზრუნველყოს შესაბამისი ზომების მიღება სს „სამედიცინო დაზღვევის ჯგუფი არქიმედეს გლობალ ჯორჯია“-ს ფინანსური მდგომარეობის შესაძლო გაჯანსაღების მიზნით.

4. იძულებითი ადმინისტრაციის ვადა განისაზღვროს 2013 წლის 19 აგვისტოდან 2013 წლის 19 ოქტომბრის ჩათვლით.

5. იძულებითი ადმინისტრაციის დაწყების თაობაზე დაუყოვნებლივ ეცნობოს სს „სამედიცინო დაზღვევის ჯგუფი არქიმედეს გლობალ ჯორჯია“-ს მარეგისტრირებელ ორგანოს, ასევე აღნიშნული ინფორმაცია გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ და სსიპ საქართველოს დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის ვებ-გვერდზე.

6. წინამდებარე ბრძანების გასაჩივრება შეიძლება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.



ლაშა ნიკოლაძე

სსიპ საქართველოს დაზღვევის ~~სახელმწიფო~~  
ზედამხედველობის სამსახურის უფროსი